

სპორტიელი

ქართული
სპორტიული

სპორტული გაზეთი

პარასკევი 16 ივლისი 1999 №133 (906)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს
სპორტის
მინისტროს
გამომცემი


სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

დემიგოლის რუსული დემისეონი



გიორგი დემეტრაძე
ბელეს, ბუზაშს და
ეუსებიოს ჩამორჩება.
სამაგიეროდ, ზეელერსა
და გერდ მიულერს
უსწრებს

ქართველებმა რუსთა კლავით დაიწყეს!

გაგვახარეს და მერე როგორ
ქართველმა კადეტმა
კალათბურთელებმა: სლოვენიაში
გუშინ დაწყებულ ევროპის
ჩემპიონატის ფინალური
ტურნირის პირველ მატჩში
ნუგზარ ჭიჭიშვილის შეგირდებმა
89:78 სძლიეს რუს თანატოლებს,
რომლებიც ამ ასაკში, ანუ
თექვსმეტწლამდელებში
კონტინენტის ბოლო გათამაშების
ვიცე-ჩემპიონები არიან და ახლაც
ტურნირის ერთ-ერთ
ფავორიტებად ითვლებიან.
ქართველთაგან უკლებლივ ყველამ
რიგიანად ითამაშა,
განსაკუთრებით კი ნიკა
ცქიტიშვილი (26 ქულა) და ზაზა
ფაჩულია (22 ქულა)
გამორჩეულან.
დღეს ჩვენებს ევროპის
ჩემპიონთან, იუგოსლავიის
ნაკრებთან მოუწევთ საქმის
დაჭერა.




ნიკა ცქიტიშვილი (№15) და ზაზა ფაჩულია რუსებს თავი მწარედ დაამახსოვრეს

მესამედ!



ბრაზილია კოპა ამერიკის
ფინალში ზედიზედ
მესამედ გავიდა

სპორტული გაზეთი



ოთარ ხიზანიშვილი პირველი
შვედური გოლი გაიტანა

დაგბედებოდათ! კოპალას ბიჭებმა შვედეთში მოიგეს ჯერ მხოლოდ ამხანაგურად

მუტალამდე სამი დღე დარჩა. ვფიქრობ, შეხსენება არც გჭირდებათ — მუტალა
ზომ ის შვედური ქალაქია, სადაც საქართველო
თერამეტწლამდე ფეხბურთელთა ნაკრები თავის პირველ მატჩს გამართავს ევროპის
ჩემპიონატზე იტალიელ თანატოლთა წინააღმდეგ. ბოლო ცნობა ჩვენს ნაკრებზე სა-
მშაბათის „სარბიელში“ მოგაწოდეთ: გაცნობ-
ებთ, რომ ქართველებმა ვიზებთან დაკავშირე-
ბული პრობლემები მოგვარეს და 12 ივლისს,
ჩვენი დროით დამის 12 საათზე, შვედეთის
ქალაქ ლინჩოპინგის სასტუმრო „ეკოქსენში“
დაბნავენ.

სამშაბათს ნაკრების მთავარმა მწვრთნე-
ლმა ვახტანგ კოპალეიშვილმა ფეხბურთელები
დაასვენა, მომდევნო დღიდან კი კვლავ
გააგრძელა სარბიელის სამზადისი — დი-
ლით ბიჭები მსუბუქად ავარჯიშა, საღამოს
სრულდაც დატვირთა და მორიგ საკონტრო-
ლო შეხვედრაშიც გამოსცადა. წესით და რი-
გით, ადგილობრივ „ლინჩოპინგთან“ ამხანა-
გური მატჩი გუშინ უნდა გამართულიყო, მა-
გრამ მასპინძელთა გემგებში რაღაც შეიცვალა


და შეხვედრაც ოთხშაბათს შედგა. სანამ
ამ მატჩზე გეტყვოდეთ, სასიამოვნო ამბავს გა-
ცნობებთ. გეხსომებათ, ვახტანგ კოპალეიშვი-
ლი ერთობ განიცდიდა პოლანდიური შეკრები-
დან დაბრუნებული ტრავმირებული მოთამაშე-
ების ბედს — ხიზანიშვილმა, ხიზანიშვილმა
და ბათიაშვილმა ამის გამო წინა საკონტრო-
ლო მატჩიც გამოტოვეს გერმანულ „ბერგაუ-
სთან“. დღესთვის სამივე მოთამაშე მწვრთნე-
შია და მათ ოთხშაბათის შეხვედრაშიც მიიღეს
მონაწილეობა, მეტიც, ოთარ ხიზანიშვილმა
„ლინჩოპინგს“ გოლიც გაუტანა. ეს მოხდა
შეხვედრის მეორე ნახევარში. მანამდე კი შე-
დურმა გუნდმა ქართველ ჭაბუკებს მაღალი
ტემპი შესთავაზა. მასპინძლებმა დასაწყისში-
ვე ხელთ იგდეს უპირატესობა და პირველი
ტაიმშიც მათი გამარჯვებით დასრულდა — 2:0.
მეორე ტაიმში კი „კოპალას ბიჭებმა“ თავი არ
დაზოგეს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მატჩის
საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 3:2
ქართველთა სასარგებლოდ. ხიზანიშვილის გა-
რდა გოლები გოცირიძემ და ნოზაძემ გაიტანეს.

ბატატა კვანტალიანი

სინი, სინი გვინდა!

ქართული რაგბის ხილული და ხელჩა-
საკიდი გარდამავალი ჯილდო „სარბიელის“
სინი, ოთხი წლის წინათ რომ და-
წესდა, სარაგბო მინდვრებზე აღარ ჩანს.
მარად ტრადიციებსა და სახელოვან
წარსულზე მოლაპარაკე ქვეყანაში რატომ
უნდა დაიკარგოს ისეთი ლაღი და როგორც
იქნა დამკვიდრებული ტრადიცია, ღირსე-
ული სპორტული ღირსებისა და გამოწვე-
ვის პრინციპებს რომ ასწავლის ჩვენს
მორაგბეთ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



„სარბიელის“ სინი ქართველ მორაგბეთა ჩემპიონატს კვლავაც გაახალისებდა

**საუბუნის
სახელით
გუშინ
პირველი
ნომინაციის
ლაურეატები
დასახელდნენ**

საქართველოს სპორტის მინისტროს გამომცემი

პიტბული მანჩესტერში?

რამა თანამედროვეობის უძლიერეს ნახევარმცველებზე საუბრობენ, ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველ ედგარ დავიდსაც მოიხსენიებენ.

1973 წლის 13 მარტს დაბადებული დავიდსმა ფეხბურთის თამაში ამსტერდამის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დაიწყო. სწორედ იქიდან მოხვდა იგი ვან გალისეულ „აიაქსში“, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების შუაში ევროპის შიშის ზარს სცემდა.

იმ შემთხვევაში და ვაჟკაცური თამაშისთვის, რომელიც დავიდსს სხვა ფეხბურთელებისგან გამოარჩევდა, გულშემატკივრებმა მას „პიტბული“ შეარქვეს.

ამსტერდამულ კლუბში წარმატებული თამაშის შემდეგ, 1996 წელს, იგი თავის თანამემამულე პატრიკ კლუივერტთან და უინსტონ ბოგარდთან ერთად იტალიურ „მილანში“ გადავიდა.

დავიდის მილანური კარიერა თავიდანვე ვერ აენყო. მერე იყო „მილანის“ ცუდი თამაში და „ჰოლანდიელი პიტბულიც“ სათადარიგოთა სკამზე მოხვდა.

ბევრს ეგონა, დავიდის მხეც ჩაესვენაო, რადგან მას ურუგვა-

ელი ოსკარ ტაბარესი, მოგვიანებით კი ფაბრიო კაპელოც არ სწყალობდა, მაგრამ იგი მარჩელო ლიონი შენიშნა და ამით ყველაფერია ნათქვამი...

1998 წლიდან ისევ დავიდის ხანა დაიწყო. იგი ისე მოერგო „იუვენტუსს“, რომ მრავალ ტიფოსს „ბებერი ქალბატონი“ მის გარეშე ვერც წარმოუდგენია.

„იუვენტი“ წარმატებული სეზონის შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც წარჩინებული ნახევარფინალში გავიდნენ, რამაც დავიდსმა უდიდესი წვლილი შეიტანა. ეს მსოფლიოს მრავალმა ჟურნალისტმა აღიარა — იგი ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

და აი მაშინ, როცა დავიდსი ბრწყინვალედ თამაშობს, საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „ბებერი ქალბატონი“ აპირებს, იგი „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიჰყიდოს.

ინგლისის ჩემპიონებს ჰოლანდიელის გადაბირება ერთობ მოუნადინებიათ, ლონდონში მყოფ „იუვენტუსის“ სელექციონერებს დაკავშირებიათ და უთქვამთ, დავიდსს ირლანდიულ რიო კინში გაგიცვლით და ფულსაც მოვაყოლებთო.

ჯერჯერობით იტალიელთა პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით უცნობია, ერთი კი ცხადია — თუ „იუვენტი“ „პიტბულის“ გაყიდვა დააპირა, მისი ფასი „იუნაიტედში“ მოთამაშე დავიდის თანამემამულე იამ სტამპზე გაცილებით მეტი იქნება. შეგახსენებთ, რომ სტამპი მანჩესტერელთა გასულ წელს „ინდჰოვენისგან“ 10 მილიონ გირვანქად შეიძინეს, რის შედეგადაც ის მსოფლიოში უძვირფასესი მცველი შეიქნა.

— ლონდონში ვიყავით „არსენალთან“ ნიკოლა ანელკას თაობაზე მოსალაპარაკებლად, როცა „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა დავიკავშირდა. ისინი დავიდის სანაცვლოდ კინს და 12 მილიონ გირვანქას გვთავაზობენ — განაცხადა „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა მენეჯერმა იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

მანჩესტერი ამ ფაქტს კომენტარს არ უკეთებს. ინგლისის ჩემპიონთა წარმომადგენელმა მხოლოდ ის თქვა, ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა, დაელოდეთ მომავალსო.

ჩვენც მეტი რა დაგვჩენია, დაველოდეთ.

კობა ხაბაღა



ედგარ დავიდსი

სარბიტის არქივიდან



მექსიკელებმა ბრაზილიელებს მეორე ტაიმში კი აჯობეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ



მესამედ

ნახევარფინალი

ბრაზილია 2:0 მქსიკა

1:0 ამოროზო (25), 2:0 რივალდო (43) ბრაზილია: დიდა, კაფუ, ფოაო კარლოსი, ანტონიო კარლოსი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ფლავიო კონსეისაო (ბეტო 78), ზე რობერტო, რივალდო, რონალდო (რონალდინიო 75), ამოროზო (ალექსი 80)

მექსიკა: კამპოსი, მარკესი, სუარესი, კარმონა, პარდო, ტრასასი (რამირესი 46), ტორადო, პალენსია (ოსორნო 55), ბლანკო, სეპედა, ერნანდესი მსაჯი: ბაირონ მორენო (ეკვადორი)

ბრაზილია კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა. 1995 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები „კობა ამერიკას“ გადამწყვეტი მატჩის უცვლელი მონაწილეები არიან. დღესდღეობით მდგომარეობა ისეთია, ბრაზილიელებს ურუგვაის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ, არადა, 1995 წელს სწორედ მათთან დათმეს ტიტული.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ასეთი რამ განაცხადა: „პარაგვაიში გასამარჯვებლად ჩამოვედით და ნელ-ნელა მიზნისკენ მივიწეეთ. ახლა ფინალში ვართ და ჩემპიონობასაც საათნახევარი გვაშორებს. ასეთ შანსს ჩემი გუნდი ზედიზედ არ გაუშვებს“.

პრაქტიკული კაცია ლუქსემბურგო — მისთვის მთავარი შედეგია და არა, ვთქვათ, ბურთის კენწეულით მაყურებელთა მოხიბვლა, ანაც ფინტების ფრქვევა.



რობერტო კარლოსი ახტა, დახტა და...

კრები კარგი გუნდია. ეს ასეცაა, მაგრამ ეს მთლიანობაში. ინდივიდუალურად კი მოთამაშეები, როგორც ჩანს, ბრაზილიელებს ჩამოუვარდებიან.

მეორე ტაიმში, როცა მექსიკა უკვე 0:2 აგებდა, მათი უპირატესობა თვალშისაცემი გახდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბრაზილიელებმა მეტოქის თავდასხმების მოგერიება წესების დაცვით ვერ მოახერხეს და უხეშობას მიმართეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბუნდელეის „ლევერკუზენში“ მოთამაშე ემერსონი — მექსიკელებს კოჭებში ურტყამდა, არც ჭიდაობას თავილობდა, მაგრამ საბოლოოდ მსაჯისგან მაინც დაუსჯელი დარჩა. ცნობისთვის გეტყვით, რომ ემერსონი თავისი კლუბის შემადგენლობაში 1997 წლის ზაფხულში თბილისშიც იყო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ.

— ჩვენთვის მთავარია გამარჯვება. ბრაზილიამ „კობა ამერიკა“ აუცილებლად უნდა მოიგოს. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბრაზილია ტურნირის მონაწილეთაგან უძლიერესია — ეს სიტყვები იმავე ვანდერლეი ლუქსემბურგოს ეკუთვნის.

ბრაზილიელთათვის ერთი ტაიმი აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის რომ მიეღწიათ. ფავორიტებმა შესვენებამდე ორი გოლი გაიტანეს და შემდეგ შეხვედრის დასრულებას უცდიდნენ. ბრაზილიელთაგან ასეთი საქციელი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი მეტოქეზე აიძულა ძირითადად საკუთარ ნახევარზე ეთამაშათ.

ისე ბრაზილიელებმა პირველი გოლი უცნაური კომბინაციის შემდეგ გაიტანეს. კაცმა რომ თქვას, კომბინაცია არც ყოფილა, უბრალოდ, თავდამსხმელების ერთობლიობისას ხორხე კამპოსის კარიდან დიდი არეულობა შეიქმნა. აქ კი ამოროზო ყველაზე მარდი აღმოჩნდა.

ტაიმის შუაში ემერსონმა მოწინააღმდეგეს ბურთი აართვა და ფლანგზე ზე რობერტოს გადასცა. მისი ჩაწოდებული ერთ-ერთი მექსიკელ მცველს ზელება და რივალდოს მისდის. თავის მხრივ, რივალდოს დარტყმულს ძელი იგერიებს. დამატებაზე კი ამოროზო შეუდარებელი აღმოჩნდა. იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის ეს მეოთხე გოლია ამ ტურნირზე.

მეორე ბურთი რივალდომ გაიტანა რონალდოსთან კომბინაციის შემდეგ. რონალდოს რაც შეეხება, ლუქსემბურგომ იგი შეხვედრის დამთავრებამდე შეცვალა — მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ერთი გაფრთხილება უკვე მიიღო ჯგუფურ ტურნირში და იმის შიშით, რომ მეორე ყვითელი ბარათის შემთხვევაში ფინალში ვერ ითამაშებდა, გამოცვალეს.

ლავა გოდუბამ

ბომბარდირები

რონალდო (ბრაზილია)	4
ამოროზო (ბრაზილია)	4

ერთი ცვლილება

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, „კობა ამერიკის“ მესამე ადგილისთვის მატჩი წინასწარ დაგეგმილ სტადიონზე ადარ გაიმართება.

მესამე ადგილისთვის შეხვედრა ლუკეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ახლა იგი ასუნსიონში, პარაგვაის უძლიერესი კლუბის „სერო პორტენოს“ ამავე სახელწოდების სტადიონზე შედგება.



მესამე ადგილისთვის მატჩი სწორედ ამ სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო

სარბიტის არქივიდან

ეპროპის უნივერსალოპანესი ტრანსფერები

იტალია

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრეა კრუჯი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია); **ანდრეა შეჩინეო** (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე ამენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), მატეას (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა); **იუვენტუსი:** დიდი დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი); **ჯონათან ბაკინი** (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი); **ინტერი:** ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია); **ლორან ბლანი** (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), ნიკო დაბრიტი (ვიჩენცა), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი); **ფიორენტინა:** ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი); **დანიელე ადანი** (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრეშანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფაბრიციო რავანელი (მარსელი, საფრანგეთი), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე); **პარმა:** აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი); **მარსიო ამორზო**, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (პაილუჯი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი); **რომა:** პაულო სერჯიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია); **ფრანჩესკო ანტონიოლი** (ბოლონია), სელსო აილა (ბეტისი, ესპანეთი), სერჯეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ბოლონია:** კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა); **დავიდე დი მიკელე** (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა); **უდინეზე:** მარსიო ამორზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა); **ვინჩენცო მონტელა** (სამპდორია), სილვა დოს სანტოს ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია);



ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი** (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი); **არსენალ:** კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერ-ლენდი); **ოლეგ ლუენი** (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია); **ჩელსი:** დიდი დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარკო მელნიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი); **ლივერპული:** სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯემსი (ასტონ ვილა), აბუბაკარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი პიბია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია); **ნიუკასლი:** დავიდ ტერი (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ ლუმა** (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი); **ევერტონი:** იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **მწვენი:** იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);



პრემიერ

ბაიერნი: ალი დაეი (პერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი** (მიონხენგლადბახი), პაულო სერჯიო (რომა, იტალია), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი); **დორტმუნი:** თომას ჰელმერი (მიუნხენი), სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია);



ესპანეთი

ბარსელონი: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია); **დანი** (მალიორკა), **ფრედერიკ დეუ** (ლანსი, საფრანგეთი), **იარი ლიტმენენი** (ალაგესი), **ივან ელგერა** (ესპანოლი), **სტივ მაკმანამანი** (ლივერპული, ინგლისი), **მიჩელ სალგადო** (სელტა); **სეულტა:** მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია); **ხორდი კრუიფი** (მანჩესტერი, ინგლისი), **გუსტავო ლოპესი** (სარაგოსა); **სარაგოსა:** გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე** (ალაგესი), **ცეზარ ლაინესი** (ვილიარეალი), **პიერი ტენერიფე**, **მარტინ ველისკა** (სალამანკა); **ატლეტიკო:** ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაბდევილა** (ესპანოლი), **კარლოს გამარა** (კორინთიანსი, ბრაზილია), **ველიკო პაუნოვიჩი** (მალიორკა), **ტონი (ესპანოლი)**; **სეულტა:** სელსო აილა (რომა, იტალია); **დეპორტივო:** არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი)**, **ხოსე მანუელ კოლმენერო** (სპორტინგ ხიხონი), **ვიკტორი** (რასინგი, სანტანდერი); **მალნიორკა:** დანი (ბარსელონი), მარსელინო ელენა (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო); **არმანდო (დეპორტივო)**, **ხერმან ბურგოსი** (რივერ პლეიტი, არგენტინა), **ივან სესარ გაბრიჩი** (ესტრემადურა); **ბილბაო:** ედუ ალონსო (სალამანკა), პაბლო ლესაჯა (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), **არტურო სიგორი** (ალაგესი); **სოსიედადი:** იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია); **ალაგესი:** ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), **არტურო სიგორი** (ბილბაო); **ალექს დიას ვეგა** (ნუმანსია), **მორენო ვარელა** (ნუმანსია);



საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტი** (ტულუზი), **ჟერომ ბონისელი** (დეპორტივო, ესპანეთი), **ჟულენ ესკუდო** (კანი), **ტედი რიშარი** (ტულუზი), **ჟან კრისტოფ** (დუბოიტი, ესპანეთი); **მარსელი:** სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრაუნი (ნიცა), აბუბაკარ „ტიტი“ კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო** (ევერტონი, ინგლისი), **პავლო კალანდრია** (ურაჯანი, არგენტინა), **სტეფან დალმა** (ლანსი), **ერიკ დეკრუა** (ნანტი), **კაბა დიავარა** (არსენალი, ინგლისი), **ლილიან მარტინი** (მონაკო), **სებასტიან პერესი** (ბასტია), **სტეფან ტრევიზანი** (გინგამი); **მიონპელიე:** ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ ლუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გაგა (რენი), ვიქტორ იკუბა (დორტმუნი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), **ლილიან მარტინი** (მარსელი), **რობერტ შპეხარი** (ვერონა, იტალია); **მარსელი** **გალიარდო** (რივერ პლეიტი, არგენტინა), **როხერი** (ბარსელონი, ესპანეთი), **მარკო სიმონე** (პსჟ); **პსჟ:** ადამოლი (ვერონა, იტალია), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო სიმონე (მონაკო), კრისტიან ვიორსი (დორტმუნი, გერმანია); **ალი ბენარბია** (ბორდო), **დომინიკ კასაგრანდე** (სევილია), **სეზარი** (პორტუგეზა, ბრაზილია), **გოდვინ ოკპარა** (სტრასბური), **ლორან რობერტი** (მონპელიე);

სხვადასხვა
პორტუ (პორტუგალია): იუსუფ ჩიპო (ქოვენტრი), ზლატკო ზაპოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **სპორტინგი** (პორტუგალია): გაბრიელ ჰაინცე (ვალადოლიდი, ესპანეთი), სიმეო სამპროსა (ბარსელონი, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი); **ლივერპული** (ბელგია): სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); **რეინჯერსი** (შოტლანდია): სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ მარბონიე (პერუჯა, იტალია)

შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული

ქართველები და უკრაინელები ევროპის საკალათბურთო სარბიულზე ვერაფრის დიდებით ვერ გაიყარეთ...

„ბე კიევი“ — ასე ჰქვია „აზოტის“ საგარეო მეთოქეს მისვლით რომ აბრევიატურის გამოყენებით...

ბირდაბირ უნდა ითქვას, ვოლკოვის საბრევიტეტო ამბიციები ყველაზეაღრმად გამართლებული იქნებოდა...

ახლა კი ჩემი და ალექსანდრ ვოლკოვის საუბარს შემოვთავაზებთ, რომელიც საკალათბურთო კლუბ „ბე კიევი“...

ნი, ბაზილევსკი, ლონმანუკი, იაილო, კიდე რამდენიმე სხვა. აბსოლუტურად ყველა უკრაინის ნაკრების მოთამაშეა.

— მიგაჩნიათ, რომ ესოდენ მცირე დროში, შემცობთ მოთამაშეთა ერთმანეთთან შეთანხმებას?

— უკრაინის ნაკრების წევრები ისედაც შეთანხმებული არიან. დანარჩენებს კი ამისათვის შრომა მოუწევთ.

— გასაგებია, მაგრამ მათი სხვა კლუბებისგან შექმნის და შემდეგ კი ხელფასის გადახდას კოლონალური თანხები დასჭირდება. საიდან აპირებთ ამხელა სახსრების მოზიდვას?

— თქვენ ეს საკითხი ასე რატომ გაინტერესებთ?

— სხვა სიტუაციაში, იქნებ, არც დაინტერესებდით, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ კორაჩის თანხე ქართულ „აზოტს“ „ბე კიევი“ დაუპირისპირდება...

— ეს უკვე მათი პრობლემა და თავისი საქმისა თვითონვე იცინა.

რაც შეეხება თანხებს, ჩვენი მათი მოზიდვის საკმარისი საშუალება გვაქვს. საბედნიეროდ, სპონსორები საქმარისად არიან და ყოველმხრივ ხელშეწყობასაც გვპირდებიან.

— სპონსორებში უცხოელებს გულისხმობთ თუ უკრაინელებსაც?

— ძირითადად უკრაინელებს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ პროექტით უცხოელებმაც გამოიჩინონ დაინტერესება.

მე ერთხელ უკვე დავამტკიცე, რომ ამის შესაძლებლობა არის, როდესაც ჩემი სახელობის ფონდი შექმნილი და ის უკრაინაში საბავშვო კალათბურთის განვითარების სამსახურში ჩაეყენებოდა...

— თქვენ თავად როდის დაანებებთ თამაშს თავი?

— სულ ახლახანს. პრინციპში, უფრო ადრეც ვაპირებდი, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა. კალათბურთი ჩემთვის ხომ ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. სულ ბოლოს, ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებშიც მივიღე მონაწილეობა უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში...

— რაიმე ინფორმაცია თუ გაქვთ ქართულ კალათბურთის შესახებ?

— ძალიან მცირე. ადრინდელ თაობას, ალბათ თავდაც კარგად მოგეხსენებათ, მშვენივრად ვიცნობდი და ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ეხლა კი, აბა, რა ვთქვა. შარშან თქვენი „აზოტი“ ღონეცის „შახტიორს“ კი ეთამაშა, მაგრამ განსაკუთრებით თავი ვერ გამოიჩინა და დონეცკელებმა პრობლემების გარეშე გამიარავეს...


მე კი ჩემ აზრს მოგახსენებთ. არა მგონია, რომ რუსთაველებს დროზე ადრე დაწებება და უკრაინის ნაკრების ტრანზიტების მიმართ ქელის მოხრა მართებდეთ. „აზოტს“ რომ თავგანწირული ბრძოლა სჩვევია, ეს ყველას კარგად მოგეხსენება. რაც შეეხება ალექსანდრ ვოლკოვის შორს მიმავლე მიზნებს, კიდეც ერთხელ გავიმეორებთ: უკრაინულ კალათბურთზე მომუშავე ყურნალისტო აზრით, წამოწყებას საკმაოდ არარეალური ელფერი დაკრავს და მისი წარმატებით დაგვირგვინების ცოტას თუ ეიმედება...

— თქვენ უახლოესი პერსპექტივის საქმეა. ჩემი მიზანია, გუნდში უკრაინელი ლეგიონერები მოვიწვიო, რომლებიც ამჟამად გაფანტულნი არიან და სხვადასხვა ქვეყნებში თამაშობენ. სწორედ მათ უნდა შექმნან გუნდის ბირთვი.

— ვინც შემადგენლობაში გყავთ, იმ კალათბურთელებით რაიმე ტურნირებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— ჯერ არა, ხომ გითხარით, სულ ახალი შექმნილები ვართ. — ვარჯიშებს მაინც თუ ატარებთ? — სრულფასოვანი ვარჯიშის ჩასატარებლად შემადგენლობა სრული უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა. ისე კი, კალათბურთელები ფორმის შესანარჩუნებლად მაინც ვარჯიშობენ.

— კონკრეტულად, მაინც ვის მოწვევას აპირებთ? — შესაძლებლობა რომ იყოს, მე თითქმის მთელ ნაკრებს მოვიწვევდი. ჯერ მთლად ზუსტად და კონკრეტულად ვერ ვგეტყვით ყველაფერს და მხოლოდ იმ მოთამაშეებს ჩამოვითვლით, რომლებთანაც უშუალოდ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ესენი არიან: მურზინი, ბაზილევსკი, ლონმანუკი, იაილო, კიდე რამდენიმე სხვა. აბსოლუტურად ყველა უკრაინის ნაკრების მოთამაშეა.



ლისა ლესლიმ ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი ჩაიბარა

ალექსანდრ ვოლკოვი აზობს უკრაინის ნაკრებით ემუშრება



თბილისი. სპორტის სასახლე. 80-იანი წლების საბჭოთა კალათბურთის კლასიკური დაბრისპირება, ცხკა — ვალდისის; არბიელი ალექსანდრ ვოლკოვი (ბურთით) არვიდას საბონისის (№11) და ვალდემარას ხომიჭუს (№13) შორის

— ალბათ დამეთანხმებით, საკმაოდ კურიოზული სიტუაცია იქმნება: გუნდი თითქოს არის და ამავე დროს, არც არის. რამ გამოიწვია თქვენი სურვილი, შეგექმნათ საკალათბურთო გუნდი?

— რას უნდა გამოეწვია. თვითონაც ყოფილი კალათბურთელი ვარ, თანაც მაღალ დონეზე მოთამაშეა და სპორტის ამ სახეობის ავ-კარგი მშვენივრად მესმის. თამაში კიევი და ვიწყებ მაშინ ჩვენ ორი საკმაოდ ძლიერი გუნდი გვეყავდა, სკა და „სტროიტელი“.

— კი მაგრამ, „ბე კიევი“ ძლიერ საკალათბურთო გუნდად ნამდვილად ვერაგინ ჩათვლის. — ვერ ჩათვლის დღეს, დაველოდებით ხვალნდელ დღეს. ხვალნდელ დღეში რაღაც შორეულ პერსპექტივას არ ვგულისხმობ. ეს ძალიან მაღე მოხდება, იმიტომ, რომ კორაჩის თანხის გათამაშება თითქმის კარს მოგვადგა.

— როდის შეიქმნა გუნდი? — ეს დიდი ხნის ისტორია არ გახლავთ, წლევეანდელი ამბავი. — თუ შეიძლება გავგაცანიტ გუნდის შემადგენლობა. — სიამოვნებით, მაგრამ იმ კალათბურთელთა გვარები, რომლებიც ამჟამად ირიცხებიან გუნდში, თქვენ, პრაქტიკულად, არაფერს გეტყვით. ამ ეტაპზე „ბე კიევი“ საშუალო დონის, მაგრამ პრინციპში პერსპექტიული მოთამაშეები არიან.

— და როგორ აპირებთ ამ საშუალო დონის მოთამაშეებით ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას? — ეს უკვე უახლოესი პერსპექტივის საქმეა. ჩემი მიზანია, გუნდში უკრაინელი ლეგიონერები მოვიწვიო, რომლებიც ამჟამად გაფანტულნი არიან და სხვადასხვა ქვეყნებში თამაშობენ. სწორედ მათ უნდა შექმნან გუნდის ბირთვი.

— ვინც შემადგენლობაში გყავთ, იმ კალათბურთელებით რაიმე ტურნირებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა? — ჯერ არა, ხომ გითხარით, სულ ახალი შექმნილები ვართ. — ვარჯიშებს მაინც თუ ატარებთ? — სრულფასოვანი ვარჯიშის ჩასატარებლად შემადგენლობა სრული უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა. ისე კი, კალათბურთელები ფორმის შესანარჩუნებლად მაინც ვარჯიშობენ.

— კონკრეტულად, მაინც ვის მოწვევას აპირებთ? — შესაძლებლობა რომ იყოს, მე თითქმის მთელ ნაკრებს მოვიწვევდი. ჯერ მთლად ზუსტად და კონკრეტულად ვერ ვგეტყვით ყველაფერს და მხოლოდ იმ მოთამაშეებს ჩამოვითვლით, რომლებთანაც უშუალოდ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ესენი არიან: მურზინი, ბაზილევსკი, ლონმანუკი, იაილო, კიდე რამდენიმე სხვა. აბსოლუტურად ყველა უკრაინის ნაკრების მოთამაშეა.

სირაქლეზიანი დოღობანი



ბზი, დოღი ჭკუშარატი ამ ჭკვიან ფრინველებს, სამხრეთ აფრიკის ჰაიგეტის ფერმაში რომ იზრდებიან, სანახაობის შექმნაც ხელეწიფებათ. სირაქლეზითა დერბი ჩაფიქრებულია როგორც სახედართა დოღის ალტერნატივა. ჰაიგეტი კი თდშორნის თღქში, კარუთაუნის ახლოსაა და მსოფლიოში უდიდეს სირაქლეზითა საშენადაა აღიარებული.

REUTERS ოდ შორნიდან

ტონი-ორდენოსანი

ყველაფერი ცუდი და ავი ბოთლის ფსკერზე დარჩა: ბუკინგემის სასახლის წინ გამოჭიმული ლონდონელ მეთოფეთა კაპიტანი ტონი ადამსი მის უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის მიერ ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვდა.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS მეღბურნიდან

მანიუ შორათუბი

„მანესტარ იუნაიტედა“ თავისი ტრადიციული სამხრეთ აღმოსავლეთური ტურნე მეღბურში დაიწყო და იმათ ეროვნულ ნაკრებს 2:0 მოუგო იესპერ ბლომკვისტისა (44-ე წთ) და ნიკი ბათის (76-ე წთ) გოლებით, ოზების ქვეყანაში ალექს ფერგიუსონის გუნდი კიდევ ერთხელ შეხვდება იქაურ სოკერებს, მერე კი ჰონგკონგისა და შანხაისკენ გასწევს. ამჟამად ყველაფრისმომგებნი მეღბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ ვარჯიშობენ, ჯადო-დრიბლიორი რაიან გიგზი კი ავტოგრაფებს არიგებს.

ტურის ბიზანტი


წლავანდელი „ტურ დე ფრანსი“ იმითაცაა გამორჩეული, რომ მისმა მომწყობებმა საგზაო გასართობები და ერთგვარი თვალსაყვირო რამეები შემოიტანეს ტრასებზე. ყვითელ მაისურაში გამოწყობილი გიგანტი-ველოსიპედისტი ტურის სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, მთავარი მაინც ისინი არიან, ვინც ამ მოძრავე ქანდაკებას მოსდევს უკან. ანუ, ტურის ლიდერი ლენს არმსტრონგი და მისი მტერ-მოყვარე მრბოლები.



REUTERS მოდანიდან



1. e2-e4 c7-c5; 2. მგ1-f3 d7-d6; 3. კი-b5+ კ8-d7; 4. კბ5:d7+ ლდ8:d7; 5. c2-c4 მბ8-c6; 6. მბ1-c3 მგ8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. მფ3-d4 კგ7; 10. მდ4-e2 ლდ7-e6; 11. მც3-d5 ლენ:e4. 12. მდ5-c7+ მფდ7




ასოცდამერვა



გოლფის სამშობლო, სქოთების ქვეყანა დიახაც რომ ლამაზი კუნძულია დედამიწისა. გახედეთ, რა ლამაზია სქოთური მინდორ-ველი. თითქოს საგანგებოდ მოუჭრია ღმერთს მეგოლფეთათვის. ქერნოსის ველზე კი გასულან ამერიკელი ოცნება-ყვანჯოსანი ტაიგერ ვუდსი, მისი მწვრთნელი ბარ ჰერმანი და მესაჭურველ სტივ უილსონი. დილა რომ გათენდება შოტლანდიის ასოცდამერვე (!) ღია ჩემპიონატი დაინწყება გოლფში, ჰოდა ტაიგერიც ამიტომ ეზომება მინდორს.

REUTERS ქერნოსიდან

კაბა ტურიზმი



„ტორინო“ რომ იტალიის ყველაზე დიდ სერიაში დაბრუნდა, ჯიბუხეც გაიკრა ხელი და ნავენგერალი შავტუხა, კაბა დიავარაც გამოითხოვა „არსენალიდან“. წინაპრით აფრიკელი, პასპორტით ფრანგი, ინგლისში ნათამაშევი და ახლა იტალიურ შეჯიბრს დასომეხული კაბა უკვე წარუდგა იტალიურ მედიას და თავისი საცოლის სიხარულიც აღბეჭდინა ფოტორეპორტიორებს.

REUTERS ტურიზმიდან

სარბიელი
საორტული გაჯეტი.
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამუშაოს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოთაშვილი
დირექტორი გიორგი მჭედია
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ ზურაბაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი ბურაკ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოლუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბუნიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლეშაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
ქორაუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbili